

სახელმწიფო შესყიდვების სამართლის რეფორმა საქართველოში

მაიკ ს. მასბაუმი*
ტათო ურჯუმაშვილი**

I. შესავალი და ისტორიული ექსკურსი

ბევრი ქვეყნისათვის, რომლებიც ებრძვიან საბიუჯეტო დეფიციტსა და ფასების ზრდას, აქტუალურია სახელმწიფო ხარჯებში კონკურენციული ელემენტის გაზრდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ცდილობენ სოციალისტური მმართველობითი მეთოდების აღმოფხვრას, როდესაც სახელმწიფო ხარჯები ხორციელდებოდა უფრო პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. 90-იანი წლების დასაწყისში, მართვის სისტემის რეფორმის პირველი ტალღის შემდგომ, ხსენებულ პრობლემებთან გასამკლავებლად, 1998 წელს დეკემბერში საქართველომ მიიღო კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ეს არის „ჩარჩო კანონი“, რომელიც შეიცავს შესყიდვების მარეგულირებელ ძირითად ნორმებს. აღნიშნული ნორმები უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი 2001 წლის დებულებაში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ, რომელშიც მოცემულია აგრეთვე შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და ანგარიშების სტანდარტული ფორმები, ინსტრუქციები, მეთოდიკები და წესები.

ამ საკანონმდებლო რეფორმებს თან მოჰყვა ინსტიტუციური მოწყობის რეფორმაც და 1999 წელს ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი. 2001 წლის მარტში იგი დამოუკიდებელ სააგენტოდ ჩამოყალიბდა, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისა და სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. სააგენტოს ამოცანაა ტენდერში მონაწილეებისა და შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა და ნორმატიული აქტების შემუშავება-განხორციელება კანონის სწორად გამოყენების ხელშესაწყობად. რამდენადაც სააგენტო თვითონ არ აწარმოებს შესყიდვის პროცედურებს, ამ კანონის მეშვეობით ჩამოყალიბდა შესყიდვების დეცენტრალიზებული სისტემა, როდესაც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ნებისმიერი სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია დამოუკიდებლად ახორციელებს შესყიდვის პროცედურებს. საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში 2002 წლის იანვარში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გათვალისწინებულ იქნა იმ თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით გათვალისწინებული ნორმების შესრულებას.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განვერიანების პროცესში საქართველომ იკისრა ვალდებულება – მიუერთდეს სამთავრობო შესყიდვების შესახებ შეთანხმებას, სადაც დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს. შეთანხმებასთან მიერთების პროცესი ამჟამადც მიმდინარეობს.

II. შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ და ევროპული მიდგომა

კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ექცევა ეკონომიკის ზოგიერთი სფეროს მარეგულირებელი ნორმების ჩამონათვალში, რომელთა შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ

* იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, „ჯეპლაკის“ უფროსი მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში.

** „ჯეპლაკის“ ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

კანონმდებლობასთან საქართველომ იკისრა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით. გარდა ამისა, შეთანხმების 50-ე მუხლი მოუწოდებს მხარეებს, უზრუნველყონ სახელმწიფო შესყიდვების ღია და კონკურენტულ გარემოში განხორციელება. აღნიშნული მიზნად ისახავს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელსაყრელი პირობებს შეუქმნის ვაჭრობის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას და შეძლებისდაგვარად დაახლოებული იქნება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. პირველ რიგში ეს მოითხოვს ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, რომლის საფუძველზეც პრეტენდენტები შეძლებენ შეუფერხებლად გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია სამთავრობო შესყიდვების ტენდერებში, რომლებიც კონკურენტულ, გამჭვირვალე, სამართლიან და ობიექტურ ვითარებაში ჩატარდება. აღნიშნულ პრინციპებთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისას განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლებმა უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო ორგანიზაციების ის რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სამოდელო კანონებისა და საუკეთესო პრაქტიკის სახით არის მოცემული. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს გაერთიანებული ერების საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის (UNCITRAL) 1994 წლის სამოდელო კანონი საქონლის, სამშენებლო სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვის შესახებ. სამოდელო კანონი და თანდართული სახელმძღვანელო მისი ამოქმედების თაობაზე ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ პროცედურები უნდა იყოს კონკურენტული, ანუ მონაწილეობაზე შეუსაბამო შეზღუდვების დაწესების გარეშე, გამჭვირვალე, დეტალური წესებით და ამ წესების განხორციელების შემთხმების საშუალებებით. შესყიდვებზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს ეკისრებათ დისციპლინური და სხვა სანქციები ამ პროცედურების დარღვევის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ სამოდელო კანონი მხოლოდ „ჩარჩო კანონია“, იგი ადგენს შესყიდვების მარეგულირებელ ძირითად სამართლებრივ წესებს, რომლებსაც უნდა დაერთოს განმახორციელებელი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული დებულებები. „ჩარჩო კანონის“ მეთოდიკა საშუალებას აძლევს განმახორციელებელ სახელმწიფოს, მიუსადაგოს შესყიდვების პროცედურების მარეგულირებელი საკუთარი დეტალური წესები თავის კონკრეტულ საჭიროებებსა და გარემოებებს, კანონით გათვალისწინებული მთლიანი ჩარჩოს ფარგლებში. ის საკითხები, რომელთა მარეგულირებელი ნორმები უფრო დეტალურად შეიძლება იყოს მოცემული დებულებებში, არის: კანონის გამოყენება გამონაკლის სექტორებში, წინასააკვალიფიკაციო პროცედურები, შესყიდვების ხელშეკრულების დადების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება, ღია ან დახურული ტენდერისაგან განსხვავებული ფორმით შესყიდვების განხორციელების შემცირება, სატენდერო წინადადების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წინა მომსახურებასთან შესაბამისობის მიზნით ერთ პირთან მოლაპარაკებით შესყიდვების განხორციელებისას ინტერესების კონფლიქტის თავიდან აცილების წესები.

ევროპულ კავშირში შესყიდვების სფეროში კანონების დაახლოების მიზანია, რაც შეიძლება მეტმა კომპანიამ მიიღოს მონაწილეობა ევროპული კავშირის სხვა წევრ ქვეყნებში გასამართ ტენდერებში და ევროპული კავშირის შესყიდვების ბაზრების გახსნა რეალური კონკურენციისათვის იმ პროცედურების კოორდინაციის გზით, რომლებმაც უნდა აღკვეთონ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების დაბრკოლებები და, ამავე დროს, დაიცვან წევრი სახელმწიფოს კომპანიების ინტერესები მათი მომსახურების ან საქონლის შეთავაზებისას სხვა წევრ სახელმწიფოში. შესაბამისად, მიღებულ იქნა რამდენიმე დირექტივა შესყიდვების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო ბაზარზე მოღვაწე კომპანიების მონაწილეობის გაზრდას ტენდერებში და ყველა კომპანიისათვის თანაბარი პირობების შექმნას.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის დაახლოებამ განაპირობა ოთხი დირექტივის მიღება, რომლებიც მოიცავენ სამუშაოების, სასაქონლო, მომსახურების შესყიდვების ხელშეკრულებებს და

ბოლოს შესყიდვის ხელშეკრულებებს ე.წ. „კომუნალურ სფეროში“, რაც მოიცავს წყლის, ელექტროენერგიის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში მოღვაწე შემსყიდველ ორგანიზაციებს. სასაქონლო და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დირექტივები განახლებულ იქნა 1989 წელს, ამ სფეროში გასაჩივრების პროცედურების მარეგულირებელი დირექტივით, რომელმაც 1992 წელს მომსახურებაც მოიცვა. გასაჩივრების დირექტივა ითვალისწინებს შესაბამის ზომებს გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის პროცესში დაშვებული ნებისმიერი დარღვევის წინააღმდეგ. როგორც აღინიშნა, კომუნალურ სფეროში შესყიდვებთან დაკავშირებული დირექტივა მოიცავს სასაქონლო, სამუშაოთა ან მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია წყლის, ელექტროენერგიის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში მოღვაწე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ. ეს დირექტივა ითვალისწინებს ამგვარი ორგანიზაციების სპეციფიკურ ხასიათს და ამ სფეროების სტრუქტურულიზაციის განსხვავებულ გზებს ევროპულ გაერთიანებაში. სპეციალური დირექტივა გასაჩივრების პროცედურების შესახებ ამ სფეროსაც მოიცავს. გარდა ამისა, გამოიყენება ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ზოგადი ნორმები შიდა ბაზრის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციის არარსებობას, საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, ექსპორტსა და იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების აკრძალვას და ეკვივალენტური ძალის მქონე ზომებს (მე-12 მუხლი), დაფუძნების თავისუფლებას (43-ე მუხლი) და მომსახურების გაწევის თავისუფლებას (49-ე მუხლი). ამ პრინციპებიდან გამომდინარე, შესყიდვების პროცესი უნდა წარმოადგენოს სამართლიანი, გამჭვირვალე და კონკურენტული გზით. უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივები არ ისახავენ მიზნად სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული ყველა ეროვნული წესის ჰარმონიზაციას. მათი მიზანია მინიმალური საერთო წესების შემოღების გზით ეროვნულ დონეზე იმ ხელშეკრულებათა დადების პროცედურების კოორდინირება, რომელთა ღირებულებაც აღემატება გარკვეულ ზღვრულ მაჩვენებლებს.

კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარჯვებულის გამოვლენისას დირექტივები მოითხოვენ, რომ ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს წმინდა ეკონომიკურ მოსაზრებებს და არ იქნეს გამოყენებული პრეფერენციული მიდგომა. ამ მიზნის მისაღწევად დირექტივები ითვალისწინებენ შემსყიდველი ორგანიზაციების ვალდებულებას – დაიცვან თანაბარი მიდგომის პრინციპი ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის მიმართ. თანაბარი მიდგომის პრინციპი მოიცავს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულებას და პროცედურების შემოწმებას დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. გარდა ამისა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს საჯაროობის გარკვეული დონე, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის ზრდას შესყიდვების ბაზარზე. საბოლოოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონტრაქტის განთავსება უნდა მოხდეს მხოლოდ პრეტენდენტთა შორის რეალური კონკურენციის პირობებში.

დირექტივებში მოცემული დებულებები უზრუნველყოფენ საუკეთესო პრეტენდენტის გამოვლენას, რაც თანაბარი მიდგომის, გამჭვირვალობისა და ნამდვილი კონკურენციის პრინციპებს უფრო ხელშესახებს ხდის. სახელმწიფო ხელშეკრულებების განთავსებისას გამიჯნული უნდა იყოს შესყიდვების პროცედურები, რომელიც შეეხება გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენას და ხელშეკრულების დადებასა და შესრულებას. დირექტივები ეხება მხოლოდ გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენასთან დაკავშირებულ ნაწილს, რომელიც არ უნდა იყოს გაიგივებული ხელშეკრულების დადებასთან, ვინაიდან არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას და ექვემდებარება გასაჩივრებას. დირექტივების მიზნიდან გამომდინარე – დაიცვან არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ტენდერში მონაწილეთა ინტერესები პროცედურების სამართლიანად ჩატარებაში, მათში მოცემული პროცედურული ნორმები საშუალებას აძლევს პრეტენდენტებს, გაასაჩივრონ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება შესაბამის ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ წევრმა სახელმწიფომ არ მოახდინა დირექტივებში მოცემული ნორმების ინკორპორირება ეროვნულ კანონმდებლობაში, ეს ნორმები მაინც ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

სტატიები

საბოლოო ჯამში, ყველა აღნიშნული დირექტივა ქმნის ევროპული გაერთიანების სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი წესების ერთობლიობას, რომელიც ეფუძნება:

- გამჭვირვალობის პრინციპს, რაც ხელს უწყობს კომპანიებს შორის კონკურენციის ზრდას სახელმწიფო კონტრაქტების მოსაპოვებლად, რომელთა განთავსება ღია ან დახურული სატენდერო პროცედურების მეშვეობით ხდება და სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმებს;
- ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შემსყიდველი ორგანიზაციების იმ გადაწყვეტილებათა ეფექტურ და სწრაფ გადასინჯვას, რომლებიც არღვევენ გაერთიანების წესებს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ამჟამად ყველა დირექტივა განახლების პროცესშია. ცვლილებების მიზანია მარეგულირებელი ნორმების გამარტივება და ელექტრონული კომერციის მზარდ მოთხოვნებთან ადაპტირება, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა შორის კონკურენციის გაზრდა და გაერთიანების კანონმდებლობის სხვა სფეროებთან შესაბამისობაში მოყვანა.

1. შემსყიდველი ორგანიზაციების განმარტება

ევროპული დირექტივები

ტერმინი სახელმწიფო შესყიდვა, ჩვეულებრივ, გამოიყენება, როდესაც საუბარია შესყიდვებზე სახელმწიფო სექტორში. დირექტივების თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციები არიან ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და ე. წ. საჯარო სამართლის იურიდიული პირები. აღნიშნული იურიდიული პირები განისაზღვრება საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ახასიათებენ მათ, როგორც ორგანიზაციებს, რომლებიც:

- დაფუძნებულნი არიან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ გააჩნიათ სამენარმო ან კომერციულ დანიშნულება;
- არიან იურიდიული პირები;
- უმეტესწილად ფინანსდებიან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ან ექვემდებარებიან სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციულ ზედამხედველობას, ან გააჩნიათ ადმინისტრაციული, მმართველობითი ან საზედამხედველო საბჭო, რომლის წევრთა ნახევარზე მეტი ინიშნება ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოებისა ან საჯარო სამართლის სხვა პირების მიერ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნუსხა და კატეგორიები, რომლებიც დირექტივების მოქმედების სფეროში ხვდებიან, თან ერთვის სამუშაოთა შესყიდვების შესახებ დირექტივას და შესაძლოა შეიცვალოს ევროპული კომისიის მიერ წევრი სახელმწიფოების მიერ შეტყობინებული ნებისმიერი ცვლილებების საფუძველზე.

UNICITRAL-ის სამოდელო კანონი

სამოდელო კანონი ვრცელდება ძირითადად სამთავრობო ორგანიზაციების ან სახელმწიფო სექტორის სხვა დაწესებულებების მიერ განხორციელებულ შესყიდვაზე. შესაბამისმა სახელმწიფომ შესაძლოა გააფართოოს კანონის მოქმედების სფერო გარკვეულ ორგანიზაციებზე, რომლებიც არ ითვლებიან მთავრობის ნაწილად, თუ იგი დაინტერესებულია რომ ამ ორგანიზაციებმა განახორციელონ შესყიდვები UNICITRAL-ის სამოდელო კანონის შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღებისას, თუ რომელ ორგანიზაციაზე და დაწესებულებაზე გავრცელდება სამოდელო კანონი, განმახორციელებელმა სახელმწიფომ შეიძლება გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

სტატიები

- უზრუნველყოფს თუ არა მთავრობა ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ოდენობის სახელმწიფო სახსრებით, აძლევს თუ არა რაიმე გარანტიას ორგანიზაციის მიერ შესყიდვების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ან სხვაგვარად თუ უნაყოფს ხელს შემსყიდველ ორგანიზაციას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება;
- მართავს ან აკონტროლებს თუ არა მას მთავრობა;
- ანიჭებს თუ არა მთავრობა ორგანიზაციას მონოპოლიას ან კვაზიმონოპოლიას, ან ექსკლუზიურ ლიცენზიას მის მიერ წარმოებული საქონლის ან მომსახურების გაყიდვაზე;
- არის თუ არა ორგანიზაცია პასუხისმგებელი მთავრობის ან სახელმწიფო ხაზინის წინაშე მისი რენტაბელობის თვალსაზრისით;
- ვრცელდება თუ არა სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან საერთაშორისო ვალდებულება ორგანიზაციის მიერ წარმოებულ შესყიდვებზე;
- შექმნილია თუ არა ორგანიზაცია სპეციალური საკანონმდებლო აქტის საფუძველზე სახელმწიფო ინტერესების ხელშესაწყობად.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიხედვით, საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნებისმიერი მმართველობითი ორგანო, საბიუჯეტო დაწესებულება ან ორგანიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო, ისევე როგორც სხვა დაწესებულებები ან საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვას ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ან ბიუჯეტში კონსოლიდირებული ფინანსური საშუალებებით, ექვემდებარება ამ კანონის მოქმედების სფეროს, სახელმწიფო საიდუმლოებებთან დაკავშირებული შესყიდვების გარდა.

კანონი ვრცელდება სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვებზე. ეს, ზოგადად, შესაბამისობაშია საყოველთაოდ აღიარებულ პრაქტიკასთან, რომელიც განაგრძობს შესყიდვების კანონს საჯარო სამართლის ყველა იურიდიულ პირზე, ან სპეციალური ექსკლუზიური უფლებების ან სამთავრობო კონცესიების საფუძველზე; მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ეს პრაქტიკა მოიცავს მხოლოდ იმ კომერციულ ფირმებსა და საწარმოებს, რომლებიც მატერიალურად უზრუნველყოფილი არიან (სამოდელო კანონი) ან მნიშვნელოვანწილად ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ (ევროპული კავშირის დირექტივები). სხვა კომპანიებმა, რომლებიც, მაგალითად, ფუნქციონირებენ ქვანახშირის ან საკვები პროდუქტების წარმოების სახელმწიფო სექტორში, უნდა გამოიყენონ საყოველთაოდ აღიარებული კომერციული პრაქტიკა, სახელმწიფო შესყიდვის წესების გამოყენების მაგივრად. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის დებულებებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო პრაქტიკაში, ისევე როგორც ევროპულ კავშირში, არსებობს იმ კერძო კომპანიების სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებისადმი დაქვემდებარების ტენდენცია, რომელთა გადანაწევრების მიღებაზე სახელმწიფოს გარკვეული გავლენა აქვს.

2. შესყიდვების ხელშეკრულების განმარტება

ევროპული კავშირის დირექტივები

მიწოდების ხელშეკრულება განისაზღვრება როგორც ფინანსურ ინტერესებზე დამყარებული, წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციასა და საქონლის, სამშენებლო სამუშაოთა და მომსახურების მიმწოდებელს შორის. მიწოდების

სტატიები

სხვადასხვა ფორმის მიმართ დირექტივები უმეტესწილად ერთმანეთის მსგავს პროცედურებს იყენებს. ტრადიციულად, სახელმწიფო შესყიდვები ასოცირდება საქონელსა და სამუშაოებთან, თუმცა ბოლო ათწლეულები მომსახურების მზარდი „შესყიდვებით“ ხასიათდება.

სასაქონლო შესყიდვების ხელშეკრულებები დაკავშირებულია პროდუქციის მიწოდებასთან და მოიცავს პროდუქციის შეძენას, ლიზინგს, იჯარას ან დაქირავებას მისი შემდგომი ყიდვის პირობით ან მის გარეშე.

სამუშაოების შესყიდვების ხელშეკრულებები მოიცავს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასა და დაპროექტება-განხორციელებას და შემსყიდველი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას ნებისმიერი საშუალებით. სამუშაოები განისაზღვრება დირექტივის მიერ როგორც სამშენებლო და საინჟინრო სამუშაოების ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ეკონომიკური და ტექნიკური ფუნქცია. ხშირ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციები ხელშეკრულებას დებენ გენერალურ კონტრაქტორთან, რომელიც მათი მოთხოვნების შესაბამისად აპროექტებს სამუშაოებს და ახდენს მთლიანი პროექტის კოორდინირებას. სხვა შემთხვევაში იდება პროექტის განვითარებისა ან მართვის ხელშეკრულება, როდესაც სამუშაოები მთლიანად ფინანსდება კონტრაქტორის მიერ, რომელსაც შემდგომში, რა თქმა უნდა, უხდინა შესაბამის ანაზღაურებას.

მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება ეხება ყველა მომსახურებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საქონლისა და მშენებლობის შესყიდვის ხელშეკრულებით. დირექტივა განასხვავებს პრიორიტეტულ მომსახურებას „სხვა სახის“ მომსახურებისაგან, და დეტალურად არეგულირებს მისი განხორციელების მექანიზმებს. პრიორიტეტულ მომსახურებას განეკუთვნება ფინანსური მომსახურება (სადაზღვევო, საბანკო და საინვესტიციო მომსახურება), სარემონტო სამუშაოები, დაზღვევა, მონაცემთა გადამუშავება, საბუღალტრო აღრიცხვა, ბაზრის შესწავლა, რეკლამა, არქიტექტურული სამუშაოები, ქუჩების განმენდა და ნაგვისაგან დასუფთავება. მომსახურების სხვა სახეებთან დაკავშირებით დირექტივა მოითხოვს მხოლოდ, რომ უზრუნველყოფილი იყოს სატენდერო პროცედურების გამჭვირვალობა, შეტყობინების გამოქვეყნება ხელშეკრულების დადების შესახებ და ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობა საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან. ამგვარი სახის მომსახურებას განეკუთვნება ოურიდიული მომსახურება, კადრების შერჩევა, სასტუმროს მომსახურება, განათლება და პროფესიული სწავლება.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი, ევროპული კავშირის დირექტივების მსგავსად, განასხვავებს საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულებებს და იძლევა მათ დეტალურ განსაზღვრებებსა და განთავსების წესებს. თუმცა სამოდელო კანონის მე-4 თავში მოცემული დებულებები მომსახურების შესყიდვების შესახებ საშუალებას იძლევა, ტენდერის ჩატარების ზოგადი წესების მაგივრად გამოყენებულ იქნას მოლაპარაკება პრეტენდენტებსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის, თუკი ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ შესასყიდი მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, დეტალური მახასიათებლებისა და სატენდერო პროცედურების წინასწარ შემუშავება უფრო მიზანშეწონილია. ძირითადი განსხვავება საქონლისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასა და მომსახურების შესყიდვას შორის მდგომარეობს შეფასებისა და შერჩევის პროცედურებში. სხვა პროცედურები, მაგალითად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების შინაარსისა და გამოქვეყნების პროცედურები შეესაბამება სატენდერო პროცედურების შესახებ მე-3 თავის შესაბამის დებულებებს.

სამოდელო კანონის მე-4 თავში მოცემული პროცედურები ხელს უწყობს კონკურენციას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას და, ამასთანავე, შეფასების პროცესში დიდ მნიშვნელობას

ანიჭებს მომსახურების მომწოდებლების საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ტექნიკურ შესაძლებლობებს. მომსახურების შესყიდვის მეთოდი ითვალისწინებს, როგორც წესი, მომწოდებლისა და კონტრაქტორების მაქსიმალურ მოზიდვას და გამარჯვებული პრეტენდენტის შერჩევის პროცედურის წინასწარ განცხადებას კანონით დაშვებული სამი ვარიანტიდან. პირველი პროცედურის დროს შემსყიდველი აწარმოებს მოლაპარაკებას მომწოდებლებსა და კონტრაქტორებთან, რის შემდგომაც ისინი წარადგენენ თავიანთ საუკეთესო და საბოლოო წინადადებებს. ეს პროცესი 48-ე მუხლში მოცემული სატენდერო წინადადებების მოთხოვნის პროცედურის მსგავსია. შერჩევის მეორე პროცედურა (ერთდროული მოლაპარაკებებით) არ ზღუდავს მოლაპარაკებების წარმოებას ყველა მომწოდებელთან ადრეულ ეტაპზე, რაც საშუალებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას, დააკონკრეტოს თავისი საჭიროებები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომწოდებლები და კონტრაქტორები „საუკეთესო და საბოლოო“ წინადადებების მომზადებისას. შერჩევის მესამე პროცედურისას (თანამიმდევრული მოლაპარაკებებით) შემსყიდველი ორგანიზაცია აწარმოებს მოლაპარაკებებს მხოლოდ ფასის შესახებ იმ მომწოდებელთან თუ კონტრაქტორთან, რომელმაც უმაღლესი ტექნიკური რეიტინგი მოიპოვა. ამ პროცედურის შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა მომწოდებლებსა და კონტრაქტორებთან თანამიმდევრული გზით, მათი რეიტინგის საფუძველზე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შეწყვეტს მოლაპარაკებებს წინა, უფრო მაღალი რეიტინგის მქონე მომწოდებელთან. ამგვარი მოლაპარაკებების შეწყვეტისას მათი განახლება არ დაიშვება.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საქართველოს კანონში სახელმწიფო შესყიდვა განისაზღვრება როგორც ნებისმიერი სახის საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვა სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული მეტ-ნაკლებად შეესაბამება დირექტივებსა და სამოდელო კანონში მოცემულ განსაზღვრებებს, თუმცა კანონი არ აკონკრეტებს – ექცევა თუ არა მისი მოქმედების სფეროში მიწოდების სხვა სახეობები, როგორიცაა: იჯარა, განვადებით შეძენა ან ქირავნობა შემდგომი ნასყიდობის პირობით ან მის გარეშე, რამდენადაც არ არის აუცილებელი, რომ ისინი უკავშირდებოდნენ საქონლის, სამუშაოებისა ან მომსახურების მიწოდებას, არამედ მათზე უფლების გადაცემას.

კანონში მოცემული ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესები (21-ე მუხლი) მოიცავს შესყიდვებს, რომელთა ობიექტია ინტელექტუალური და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება, მომსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ტელეკომუნიკაციების სფეროში, მმართველობითი მომსახურება, მომსახურება არქიტექტურის, საინჟინრო გამოკვლევისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური დარგების სფეროში, მეცნიერული კვლევები და ექსპერიმენტები, საპროექტო სამუშაოები, სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო დაკვეთის განთავსება და საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული საქმიანობის სახეები, რომლებიც მიეკუთვნება ინტელექტუალურ მომსახურებას. კანონის თანახმად, ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა ხორციელდება ორეტაპიანი სატენდერო პროცედურების მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ფორს-მაჟორული სიტუაცია და აუცილებელია შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორეტაპიანი სატენდერო პროცედურა ბევრ ასპექტში შეესაბამება სამოდელო კანონში მოცემულ მომსახურების შესყიდვის წესებს. ორივე პროცედურა ითვალისწინებს პრეტენდენტებსა და შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებების გამართვის საშუალებას. ორეტაპიანი პროცედურის არსი მდგომარეობს ორი

სტატიკა

ელემენტის შერწყმაში: პირველ ეტაპზე – მომწოდებლებთან და კონტრაქტორებთან მოლაპარაკებების გამართვის საშუალება, რაც შესაძლებლობას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას, დააკონკრეტოს შესასყიდი საქონლის საბოლოო მახასიათებლები, და მეორე ეტაპზე – ჩვეულებრივი სატენდერო პროცედურებით გათვალისწინებული ობიექტურობისა და კონკურენციის მაღალი დონე.

3. შესყიდვებთან დაკავშირებული ზღვრული მაჩვენებლები

ღირებულების ზღვრული მაჩვენებლები არ გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვებისათვის საერთაშორისო პრაქტიკასა და ევროპული კავშირის სამართლებრივ ტრადიციებში. ეს მიდგომა გამომდინარეობს სახელმწიფო სექტორში შესყიდვების შესაბამისი პრაქტიკის დამკვიდრების მოთხოვნიდან, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფო სახსრების სწორად გამოყენებაზე სტაბილურობასა და ეფექტიანობაზე. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების განხორციელება კონკურენტულ გარემოში მიზანშეწონილია შესასყიდი საქონლის ღირებულების მიუხედავად, ვინაიდან ეს ხელს უწყობს სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად გამოყენებას.

ღირექტივები, გამომდინარე მათი დანიშნულებიდან – მოახდინონ საერთაშორისო ტენდერების კოორდინირება, – არეგულირებენ მხოლოდ დიდი მოცულობის კონტრაქტების განთავსებას, რომელთა სავარაუდო ღირებულება საქონლის შესყიდვის შემთხვევაში აღემატება 200.000 ევროს (ვმო-ის სამთავრობო შესყიდვების შეთანხმებით გათვალისწინებული კონტრაქტების შემთხვევაში – 128.771 ევროს), სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულებების შემთხვევაში – 5 მილიონ ევროს და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – 200.000 ევროს. როდესაც კონტრაქტი დაყოფილია რამდენიმე ლოტად, ღირებულების შესაბამისი ზღვრული ოდენობის დადგენისათვის გამოიყენება ამ ლოტების საერთო ღირებულება. ეს საკითხი დეტალურად არის დარეგულირებული სამუშაოთა, მომსახურების და მიწოდების შესახებ ღირექტივებში. დაუშვებელია მოცემული რაოდენობის საქონლის ან მომსახურების შესყიდვის მოთხოვნის ან კონტრაქტის დაყოფა მისი ღირექტივის მოქმედების სფეროდან ამოღების მიზნით.

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში მოცემული კუნკურენტულობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის ზოგადი პრინციპები ასახული უნდა იყოს ნვერი ქვეყნების შესყიდვების კანონმდებლობაში.

4. არსებითი დებულებები და კონტრაქტის განთავსების პროცედურის შერჩევა

ევროპული კავშირის ღირექტივები

ევროპული კავშირის ღირექტივები ითვალისწინებს სახელმწიფო ხელშეკრულების განთავსების სამ განსხვავებულ პროცედურას, ესენია: ღია პროცედურა, შეზღუდული პროცედურა და შეთანხმებული პროცედურა.

ღია სატენდერო პროცედურებში მონაწილეობა ყველა მიმწოდებელს შეუძლია, შეზღუდული პროცედურის დროს – მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიწვეულ მიმწოდებლებს. შეზღუდული პროცედურის დაჩქარებული ფორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, როდესაც მიმწოდებლებს ვერ მიეცემათ ის დრო, რომელიც ჩვეულებრივ გათვალისწინებულია შეზღუდული პროცედურით. შეთანხმებული პროცედურის დროს შემსყიდველი ორგანიზაცია მართავს კონსულტაციებს მის მიერ შერჩეულ მიმწოდებლებთან და ათანხმებს მათთან ხელშეკრულებების პირობებს, მაგალითად ტექნიკურ, ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ მხარეებს. შეთანხმებული პროცედურა ანიჭებს შემსყიდველ ორგანიზაციას მოქმედების თავისუფლებას წინასწარი კონსულტაციების დროს. მიუხედავად ამისა, პროცედურა არ უნდა იყოს

გაიგივებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, რადგანაც ის მოითხოვს შემსყიდველი ორგანიზაციისაგან აქტიურ მონაწილეობას ხელშეკრულების პირობების დადგენაში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ფასებზე, მიწოდების ვადებზე, რაოდენობაზე, ტექნიკურ მახასიათებლებსა და გარანტიებზე. პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შედარება შემსყიდველმა ორგანიზაციამ თანაბარი მიდგომის პრინციპზე დაყრდნობით უნდა მოახდინოს. ამ მოქნილი პროცედურის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ დირექტივით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში. მისი გამოყენებისას საჭიროა კონტრაქტის განთავსების შესახებ წინასწარი შეტყობინების გამოქვეყნება, თუმცა კონკრეტულ გამონაკლის შემთხვევებში შეტყობინება შეიძლება არ გამოქვეყნდეს.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

სამოდელო კანონით გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შვიდი განსხვავებული ფორმა: ღია და შეზღუდული ტენდერი, ორეტაპიანი ტენდერი, წინადადებების გამოთხოვნა (კოტირება), კონკურენტული მოლაპარაკებები, ფასთა კოტირება და ერთ პირთან მოლაპარაკება.

ღია ტენდერი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ მიმწოდებელს, მონაწილეობა მიიღოს ტენდერში და წარადგინოს სატენდერო წინადადება. ალტერნატიული მეთოდები – ორეტაპიანი ტენდერი, წინადადებების გამოთხოვნა და კონკურენტული მოლაპარაკებები – გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას არ შეუძლია წინასწარ, სატენდერო პროცედურების დაწყებამდე ჩამოაყალიბოს შესასყიდი საქონლისა თუ სამუშაოების დეტალური სპეციფიკაციები, ან, თუ საქმე მომსახურების შესყიდვას ეხება, დაადგინოს მისი ზუსტი მახასიათებლები და მოთხოვნები სატენდერო წინადადებების მიღებამდე. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებზეც, როცა შესასყიდი საქონლის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, აუცილებელია მიმწოდებლებთან მოლაპარაკებების გამართვა, ან როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას სურს დადოს ხელშეკრულება სამეცნიერო კვლევის, ძიების ან ექსპერიმენტის ჩატარების თაობაზე, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესასყიდი საქონლის იმ რაოდენობით წარმოება, რაც უზრუნველყოფს კომერციულ რენტაბელობას ან აანაზღაურებს კვლევისა და ძიების ხარჯებს. კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია ზემოხსენებული სამი მეთოდის გამოყენება, არის ეროვნულ თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესყიდვები.

შეზღუდული სატენდერო პროცედურები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესასყიდი მომსახურების, სამუშაოებისა თუ საქონლის მიწოდება, მათი რთული ან სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეუძლიათ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მიმწოდებლებს, ან როდესაც დრო და ხარჯები, რაც აუცილებელია დიდი რაოდენობით სატენდერო წინადადებების განხილვისა და შეფასებისათვის, შესასყიდი საქონლისა თუ მომსახურების ღირებულების შეუსაბამო იქნება.

ბაზარზე არსებული საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვისას, რომლის წარმოება ან შეთავაზება ხდება არა შემსყიდველი ორგანიზაციის კონკრეტული სპეციფიკაციების მიხედვით, ამ უკანასკნელს შეუძლია გამოიყენოს ფასთა კოტირები მეთოდი, თუკი შესყიდვების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება კანონით დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებს, ეს არის ნაკლებად ფორმალური პროცედურა, რომლის დროსაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა შესთავაზოს მინიმუმ სამ მიმწოდებელს, წარმოადგინონ თავისი ფასები შესასყიდ საქონელსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებით. ფასების წარდგენის ყველაზე მოხერხებული ფორმაა ე.წ. ინვოისი, რომლის მიხედვითაც ხდება ანგარიშსწორება სატენდერო წინადადების მიღების შემთხვევაში.

ერთ პირთან მოლაპარაკება გამოიყენება იმ საქონლის, სამუშაოებისა თუ მომსახურების შესყიდვისას, რომლის მიწოდებაც მხოლოდ კონკრეტულ მიმწოდებელს ან კონტრაქტორს შეუძლია,

სტატიები

ან რომელიმე მიმწოდებელს გააჩნია ექსკლუზიური უფლება შესასყიდ საქონელზე, სამუშაოებზე თუ მომსახურებაზე და არ არსებობს რეალური ალტერნატივა. ეს მეთოდი გამოიყენება ასევე, როდესაც არსებობს გადაუდებელი მოთხოვნილება ამ საქონელსა თუ მომსახურებაზე, რაც პრაქტიკულად არამიზანშეწონილს ხდის სხვა პროცედურების გამოყენებას, იმ დროის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია ამ პროცედურებისათვის. ერთ პირთან მოლაპარაკებით შესყიდვების განხორციელება დასაშვებია აგრეთვე ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საქართველოს კანონით გათვალისწინებულია შესყიდვის ხუთი სხვადასხვა მეთოდი: ღია ტენდერი, დახურული ტენდერი, ფასთა კოტირება, ორეტაპიანი ტენდერი და ერთ პირთან მოლაპარაკება.

ღია ტენდერი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ძირითადი მეთოდია, რომლის დროსაც ყველა პრეტენდენტი თანაბარი შესაძლებლობით სარგებლობს. ეს მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 70.000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში – 230.000 ლარს.

კანონის მიხედვით, შეზღუდული ტენდერი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება ნაკლებია 70 000 ლარზე (სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას – 230.000 ლარზე) და აღემატება 25.000 ლარს (სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას – 120.000 ლარს). კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ღია და დახურული ტენდერი შეიძლება ჩატარდეს ორ ეტაპად.

ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს უშუალო მოლაპარაკებებს მიმწოდებელთან, გამოიყენება იმ შემთხვევებში, თუ:

- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 25.000 ლარს (ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში 120.000 ლარს);
- შესყიდვის ობიექტის მიწოდება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;
- ფორსმაჟორული სიტუაციის შედეგად აუცილებელია შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელება;
- მიმწოდებლისგან მიღებული საქონლის, ტექნოლოგიის ან მოწყობილობის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით და შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესყიდვის განხორციელება იმავე მიმწოდებლისგან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველი მიწოდების ღირებულებას.

კანონის 21-ე მუხლი ითვალისწინებს ორეტაპიანი ტენდერების ჩატარების შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, თუ, შესასყიდი ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ეკონომიკური და ტექნიკური პირობის წინასწარ განსაზღვრა და შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებთან მოლაპარაკების გამართვა ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით. ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტები წარადგენენ პირველად სატენდერო წინადადებებს ფასის მითითების გარეშე და ამ ეტაპის განმავლობაში სატენდერო კომისიას უფლება აქვს, გამართოს მოლაპარაკებები პრეტენდენტებთან პირველადი სატენდერო წინადადებების ნებისმიერი პირობის დაზუსტების და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით.

პირველადი სატენდერო წინადადების განხილვის შედეგად სატენდერო კომისია ადგენს სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს, რომელიც გადაეცემა ყველა პრეტენდენტს

სტატიები

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. ერთეულოვანი ტენდერის ჩატარებისათვის დადგენილი წესები ასევე გამოიყენება ორეტაპიანი ტენდერებისათვის. დასრულებული სახის მქონე (მზა) საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, რომელიც არ არის საგანგებოდ წარმოებული შემსყიდველი ორგანიზაციის ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე და გააჩნია მუდმივი ბაზარი, გამოიყენება ფასთა კოტირების პროცედურა, იმ პირობით, რომ შესასყიდი საქონლის და მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება 10 000 ლარს, მაგრამ ნაკლებია 25.000 ლარზე, ხოლო სამუშაოების შესყიდვისას – აღემატება 50.000 ლარს და ნაკლებია 120.000 ლარზე.

მთლიანობაში, საქართველოს კანონში გათვალისწინებული სატენდერო პროცედურები შეესაბამება ევროპული კავშირის დირექტივებში და *UNCITRAL*-ის სამოდელო კანონში მოცემულ პროცედურებს. თუმცა, საქართველოს კანონი ამ პროცედურების გამოყენებას უკავშირებს, ძირითადად, ღირებულების ზღვრულ მაჩვენებლებს, მაშინ როდესაც სამოდელო კანონი და დირექტივები უფლებას აძლევენ შემსყიდველ ორგანიზაციას, თავად აირჩიონ კონკრეტული სატენდერო პროცედურა. კანონის ამგვარი არჩევანი შეიძლება განპირობებული იყოს იმის შიშით, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ამ უფლებას წესების გვერდის ავლისათვის გამოიყენებენ და შეზღუდვენ კონკურენციას დიდი ღირებულების ხელშეკრულებების განთავსებისას. საერთაშორისო პრაქტიკაში, მაგალითად, ღია პროცედურები, როგორც წესი, გამოიყენება ისეთი შესყიდვებისას, როდესაც შესაძლებელია დეტალური და კონკრეტული მახასიათებლების ჩამოყალიბება და შეფასების პროცესი შედარებით მარტივია. ღია პროცედურის დროს მოთხოვნები ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ მიმწოდებელმა შეძლოს სატენდერო წინადადების მომზადება დამატებითი ინფორმაციის გარეშე. ხშირ შემთხვევაში, დიდი ღირებულების ხელშეკრულების განთავსებისას ეს ასეც ხდება, თუმცა არა ყოველთვის. ღია სატენდერო პროცედურები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს ისეთი შესყიდვისას, რომლის სავარაუდო ღირებულება ღია პროცედურის გამოყენებისათვის კანონით დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელზე ნაკლებია. განსხვავებით ღია ტენდერისაგან, დახურული ტენდერი ხელსაყრელია იმ შემთხვევებში, როდესაც შესყიდვის ობიექტი განსაკუთრებული ხასიათისაა და ამ პროცედურის განხორციელება კონტრაქტორებისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ხარისხს ან შესაძლებლობებს მოითხოვს. შეზღუდული პროცედურის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ შესასყიდი საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების ბაზარი ნამდვილად შეზღუდულია. იგივე შეიძლება ითქვას დიდი ღირებულების შესყიდვების განხორციელებაზე, ამიტომ კარგი იქნებოდა, შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს მეტი თავისუფლება სატენდერო პროცედურების არჩევაში.

5. წესები ტექნიკური მახასიათებლების შესახებ

ევროპული კავშირის დირექტივები

ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის მოთხოვნა სახელმწიფო შესყიდვების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს. ამ კონტექსტში სატენდერო დოკუმენტების მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან სატენდერო პროცედურებისას პრეტენდენტებთან ურთიერთობა შეზღუდულია და მოლაპარაკებების გამართვა, როგორც წესი, ნებადართული არ არის, სატენდერო დოკუმენტების ხარისხი და სრულყოფილება დიდ მნიშვნელობას იძენს სატენდერო წინადადების შეფასებისა და ხელშეკრულების წარმატებულად განთავსებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ სატენდერო წინადადებები არ ექვემდებარებიან შესწორებას, გარდა არითმეტიკული შესწორებებისა, მათი შეფასება და ხელშეკრულების დადება ფაქტობრივად ეფუძნება სატენდერო დოკუმენტებში მოცემულ ინფორმაციას. წარდგენილ სატენდერო წინადადებებში აისახება სატენდერო დოკუმენტებისა და განსაკუთრებით კი ტექნიკური მახასიათებლების ხარისხი. მახასიათებლები

სტატიები

უნდა მოიცავდნენ ნათლად ჩამოყალიბებულ საბოლოო მოთხოვნებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან არანაირ ცვლილებას ან შესწორებას. პრეტენდენტები უნდა იყვნენ გაფრთხილებულნი იმის თაობაზე, რომ მათი სატენდერო წინადადებები იქნება უარყოფილი, თუ ისინი არ შეესაბამება მახასიათებლებში დადგენილ მოთხოვნებს. ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებული ევროპული კავშირის საერთო წესები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი გაერთიანების ახალ პოლიტიკასთან. ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ევროპული სტანდარტების განმახორციელებელი ეროვნული სტანდარტების ან ევროპული ტექნიკური დასტურების, ან საყოველთაოდ აღიარებული ტექნიკური მახასიათებლების საფუძველზე. ევროპული კავშირი მიზნად ისახავს ღია კონკურენციის ტექნიკური და სამართლებრივი ბარიერებისა და შეზღუდვების აღმოფხვრას და, შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საერთაშორისო ვაჭრობისათვის უფრო ღია და ეფექტიანი გარემოს შექმნას. აქედან გამომდინარე, ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება მიმართულია ბაზრის გაფართოებისა და კონკურენციის გაზრდისაკენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროშიც.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

შესასყიდი საქონლის აღწერის წესების თანახმად, რომლებიც მოცემულია სამოდელო კანონში, წინასააკვალიფიკაციო, სატენდერო და წინადადებებისა და ფასების კოტირების დოკუმენტები არ უნდა მოიცავდეს ან იყენებდეს ისეთ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს, რომლებიც შეიცავენ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ტექნიკურ და ხარისხობრივ მახასიათებლებს, შემოწმებისა და შემოწმების მეთოდებთან, შეფუთვისასთან, მარკირებასთან და ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, პირობით ნიშნებს და ტერმინოლოგიას, მომსახურების პირობების აღწერას, რაც მიმნოდებლებს შესყიდვების პროცესში მონაწილეობის დაბრკოლებებს უქმნის. გარდა ამისა, საქონელთან, სამუშაოებთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მახასიათებლები, გეგმები, ნახაზები, პროექტები და მოთხოვნები ან აღწერა, შეძლებისდაგვარად, უნდა ეფუძნებოდეს შესასყიდი საქონლის, სამშენებლო სამუშაოების ან მომსახურების შესაბამის ობიექტურ ტექნიკურ და ხარისხობრივ მახასიათებლებს. მოთხოვნა კონკრეტული სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელის, პატენტის, დიზაინის, ტიპის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითების თაობაზე არ არის დაშვებული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ არსებობს სხვა საკმარისად დეტალური ან გონივრული გზა შესასყიდი საქონლის, სამშენებლო სამუშაოების ან მომსახურების მახასიათებლების აღწერისათვის და თუ გამოიყენება ისეთი შესიტყვება, როგორიცაა „ან ეკვივალენტური“.

სტანდარტული მაჩვენებლები, მოთხოვნები, პირობითი ნიშნები და ტერმინოლოგია, რომელნიც ეხება შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ტექნიკურ და ხარისხობრივ მახასიათებლებს, გამოიყენება, სადაც შესაძლებელია, სპეციფიკაციების, გეგმების, ნახაზებისა და ესკიზების შედგენისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, მოცემულია წინასააკვალიფიკაციო, სატენდერო, ფასთა კოტირების დოკუმენტებში.

შესყიდვის ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისას და წინასააკვალიფიკაციო ან სატენდერო წინადადებების, შემოთავაზებებისა და ფასთა კოტირების დოკუმენტების შესაბამისი დებულებების ფორმულირებისას ყურადღება უნდა მიექცეს სტანდარტული სავაჭრო ტერმინების გამოყენებას.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ადგენს დეტალურ მოთხოვნებს სატენდერო დოკუმენტების შინაარსთან დაკავშირებით, როგორც ეს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებშია ხაზგასმული

და მოითხოვს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისათვის გამოყენებული ტექსტური მასალების, მახასიათებლების, გეგმების, ნახაზების, ესკიზების და სხვა მასალების შესაბამისობას საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებთან, ტექნიკურ მაჩვენებლებთან, ტერმინოლოგიასა და პირობით აღნიშვნებთან (მათი არსებობის შემთხვევაში). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტანდარტიზაციის სისტემა რეფორმის საწყის ეტაპზეა, მხოლოდ რამდენიმე ეროვნული სტანდარტი არსებობს და მიმწოდებლები არ არიან საკმარისად აღჭურვილნი საერთაშორისო სტანდარტებთან (ISO და ა.შ.) შესაბამისობისათვის.

გარდა იმისა, რომ შესყიდვის ობიექტის აღწერაში დაუშვებელია საქონლის ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს და მწარმოებლის მითითება, კანონი ასევე კრძალავს ისეთი მახასიათებლების, პარამეტრების და ტერმინოლოგიის გამოყენებას, რომლებმაც შესაძლოა სირთულეები შეუქმნას ტენდერში მონაწილეობის მსურველებს (მე-12 მუხლი).

საქართველოს კანონისაგან განსხვავებით, სამოძღვრო კანონის თანახმად, ღირებულება, რომელიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს სატენდერო დოკუმენტაციისათვის, უნდა ასახავდეს მხოლოდ ამ დოკუმენტაციის დაბეჭდვისა და მისი პრეტენდენტებისათვის მიწოდების ხარჯებს.

6. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მიწვევის გამოქვეყნება

ევროპული კავშირის დირექტივები

გამჭვირვალე სატენდერო პროცედურების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარ შესაძლებლობებს სატენდერო პროცედურებში მონაწილეობის მიღებაში დაინტერესებული ყველა ეკონომიკური აგენტისათვის, ევროპული გაერთიანების სახელმწიფო შესყიდვების წესების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია. ამგვარი გამჭვირვალობის მიღწევა შესყიდვასთან დაკავშირებული მთელი რიგი შეტყობინებების გამოქვეყნების გზით ხდება, რომლებიც ეხება შემდეგ ასპექტებს:

- წინასწარი ინფორმაცია შესყიდვის პროგრამების შესახებ;
- ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნება;
- თითოეული დადებული ხელშეკრულების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება.

პირველ რიგში, დირექტივები მოითხოვს შემსყიდველი ორგანიზაციებისაგან საბიუჯეტო წლის დაწყებისთანავე ინდიკატორული შეტყობინების გამოქვეყნებას მათ მიერ დაგეგმილი მთლიანი შესყიდვების შესახებ. შემსყიდველი ორგანიზაციები თავისუფლდებიან ამ ვალდებულებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაგეგმილი შესყიდვების საფარაუდო ღირებულება 750.000 ევროს არ აღემატება. საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების შესყიდვების ხელშეკრულების დადების მსურველმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა დირექტივებთან დართული ნიმუშების მიხედვით შედგენილი შეტყობინების გამოქვეყნების საშუალებით უნდა განაცხადონ თავიანთი განზრახვის შესახებ. შესყიდვების განხორციელების პროცედურა ამ შეტყობინების გამოქვეყნებიდან იწყება. შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან მინიმალური ვადების დანესება დამოკიდებულია პროცედურის ტიპზე. ღია პროცედურებში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის მიღების მინიმალური ვადა 52 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო სატენდერო წინადადების მიღების შემთხვევაში – 15 დღეზე ნაკლები. შეზღუდულ ტენდერში მონაწილეობის შესახებ მოთხოვნის მიღების ვადა მინიმუმ 37 დღეა და 15 დღე – სატენდერო წინადადების მიღებისათვის; შეთანხმებულ პროცედურებში მონაწილეობის შესახებ მოთხოვნის მიღების მინიმალური ვადა 37 დღეა, ხოლო სატენდერო წინადადების მიღების ვადა – არანაკლებ 15 დღისა.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

სამოდელო კანონი ასევე აღიარებს, რომ მიმწოდებლებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ვადა სატენდერო წინადადების მოსამზადებლად, რაც ხელს უწყობს ტენდერში მონაწილეთა რაოდენობის და მათ შორის კონკურენციის გაზრდას. მე-15 მუხლის თანახმად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა გამოაქვეყნონ ოფიციალურ ბიულეტენში ან გამოცემაში განცხადებაშესყიდვების ჩატარების შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება აუცილებელი ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის, შესასყიდი საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების, ვადების, შეფასების კრიტერიუმების, ტენდერის ჩატარების ფორმისა და პრეტენდენტების კვალიფიკაციის შესახებ. სამოდელო კანონის 30-ე მუხლის თანახმად, ეს ვადები შეიძლება იცვლებოდეს შემთხვევიდან შემთხვევამდე ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა: შესყიდვის სირთულე, სავარაუდო ქვეკონტრაქტები და ტენდერების წარდგენისათვის საჭირო დრო. ამგვარად, სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადას შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, თუმცა სამოდელო კანონი საშუალებას აძლევს განმახორციელებელ სახელმწიფოს, გაითვალისწინოს შესყიდვების მარეგულირებელ ეროვნულ დებულებებში მინიმალური ვადები სატენდერო წინადადებების წარდგენისათვის.

სატენდერო დოკუმენტებში შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. კონკრეტული სატენდერო პროცედურებისათვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ იქნებოდა შესყიდვების შესახებ კანონში სატენდერო წინადადების მოქმედების ზოგადად გრძელი ვადის დადგენა, უმეტესი თუ არა, ყველა სატენდერო პროცედურის საჭიროებათა გათვალისწინების იმედით. ეს არაეფექტიანი იქნება, რადგანაც ბევრ შემთხვევაში ვადა უფრო გრძელი იქნება, ვიდრე საჭიროა. სატენდერო წინადადების მოქმედების მეტისმეტად გრძელმა ვადებმა შესაძლოა გამოიწვიოს ტენდერის ფასების გაზრდა, ვინაიდან მომწოდებლებსა და კონტრაქტორებს მოუხდებათ თავის ფასებში ნამატის შეტანა, რომელიც საჭიროა ამ პერიოდის განმავლობაში მათ მიერ განეული ხარჯების და არსებული რისკების კომპენსაციისათვის.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-3 მუხლის თანახმად, შესყიდვების განხორციელება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით ხორციელდება. ღია ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განცხადება უნდა გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 600 000 ლარს (სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში – 8 000 000 ლარს), განცხადება ქვეყნდება აგრეთვე ფართოდ გავრცელებულ უცხოურ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემაში, ვაჭრობის პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე. ამ კონტექსტში UNCITRAL-ის სამოდელო კანონში მითითებულია გაერთიანებული ერების საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გამოცემული „Development Business“, როგორც ერთ-ერთი სათანადო საერთაშორისო გამოცემა.

7. შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობასთან და საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებასთან დაკავშირებული წესები**ვერობუდი კავშირის დირექტივები**

შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მოსთხოვოს პრეტენდენტებს, წარმოადგინონ შესაბამისი ცოდნის, გამოცდილების, ფინანსების, აღჭურვილობის და პერსონალის, აგრეთვე აუცილებელი

სტატიები

ნებართვებისა და ლიცენზიების ფლობის დამადასტურებელი საბუთები. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, დირექტივები ითვალისწინებს პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მოიცავენ მათ პირად, ფინანსურ, ეკონომიკურ მდგომარეობასა და ტექნიკურ შესაძლებლობებს.

ნებისმიერი პრეტენდენტი შეიძლება იყოს დისკვალიფიცირებული, თუკი:

- გაკოტრებული ან ლიკვიდირებულია, მის საქმიანობას აკონტროლებს სასამართლო, შეთანხმება აქვს კრედიტორებთან, ან ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფება ეროვნული კანონმდებლობითა და დებულებებით გათვალისწინებული პროცედურებიდან გამომდინარე;
- მის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, ან გაცემულია ბრძანება სავალდებულო ლიკვიდირების თუ მისი საქმიანობის სასამართლოს მიერ გაკონტროლების თაობაზე, ან მიმდინარეობს მისი შეთანხმება კრედიტორებთან, ან მასზე ვრცელდება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მსგავსი პროცედურები;
- ბრალი ედება პროფესიული ქცევის ნორმების დარღვევაში *res judicata*-ს ძალის მქონე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე;
- არ შეასრულა გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებები მისი დაფუძნების ქვეყნის ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქვეყნის სამართლებრივი ნორმების შესაბამისად;

– ჩაიდინა მძიმე პროფესიული დანაშაული, დამტკიცებული ნებისმიერი საშუალებებით, რომლებსაც შემსყიდველი ორგანიზაცია გამართლებულად მიიჩნევს;

– წარმოადგინა ყალბი საკვალიფიკაციო მონაცემები.

პრეტენდენტის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს:

- შესაბამისი საბანკო ანგარიშები;
- ფირმის ბალანსის ან ბალანსის შესაბამისი ნაწილების წარმოდგენა;
- ანგარიში ფირმის მთლიანი ბრუნვის შესახებ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს შესყიდვის ობიექტს. ტექნიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს:
- უკანასკნელი სამი წლის მანძილზე განხორციელებული მიწოდებების ჩამონათვალი, ღირებულების, თარიღების და კერძო თუ სახელმწიფო მიმღები ორგანიზაციის მითითებით;
- ფირმის ტექნიკური შესაძლებლობებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ზომების აღწერა;

– მისაწოდებელი პროდუქციის ნიმუშები, აღწერა და ფოტოასლები, რომელთა უტყუარობა უნდა იქნეს დამტკიცებული შემსყიდველი ორგანოს მოთხოვნისამებრ;

– აღიარებული კომპეტენციის მქონე ხარისხის კონტროლის ოფიციალური ინსტიტუტების ან სააგენტოების მიერ გაცემული სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ შესაბამისობას შესასყიდი პროდუქციის კონკრეტულ მახასიათებლებსა და სტანდარტებთან,

იმ შემთხვევაში, თუ მისაწოდებელი საქონელი კომპლექსური ხასიათისა ან საგანგებო მიზნისათვის არის განკუთვნილი, შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის ან მისი სახელით მოქმედი მომწოდებლის დაფუძნების ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ მომწოდებლის საწარმოო საშუალებებისა და საჭიროებისამებრ მისი სწავლებისა და კვლევის შესაძლებლობებისა თუ ხარისხის კონტროლის ზომებთან დაკავშირებული შემოწმების ჩატარება.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

სამოდელო კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის მისაღებად მომწოდებლებსა და კონტრაქტორებს უნდა გააჩნდეთ საჭირო პროფესიული და ტექნიკური კვალიფიკაცია, კომპეტენცია, ფინანსური რესურსები, აღჭურვილობა და სხვა მატერიალური საშუალებები, მმართველობითი უნარი, საიმედოობა, გამოცდილება, რეპუტაცია, პერსონალი და სამართლებრივი ქმედუნარიანობა. გარდა ამისა, ისინი უნდა იყვნენ გადახდისუნარიანები, მათი ქონება არ უნდა იმყოფებოდეს სასამართლო კონტროლის ქვეშ, ისინი არ უნდა იყვნენ გაკოტრებულები, მათი საქმეების ადმინისტრირებას არ უნდა ახდენდეს სასამართლო ან სასამართლოს მიერ დანიშნული ოფიციალური პირი, მათი კომერციული საქმიანობა არ უნდა იყოს შეწყვეტილი და მათი საქმე არ უნდა განიხილებოდეს სასამართლოში ზემოაღნიშნული მიზეზების გამო; ასევე მათ შესრულებული უნდა ჰქონდეთ თავიანთი ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე გადასახადებისა და სოციალური შესატანების გადახდასთან დაკავშირებით.

დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმების მიხედვით, პრეტენდენტები ან მათი ხელმძღვანელები არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის, ან ბრალი ჰქონდეთ წაყენებული ყალბი განცხადებებისა ან არაზუსტი საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენისათვის, შესყიდვის პროცედურების განხორციელებამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან არ უნდა იყვნენ სხვაგვარად დისკვალიფიცირებული საქმიანობის შეწყვეტასა ან შეჩერებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ზომების საფუძველზე.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

კანონის მე-11 მუხლის თანახმად, საკვალიფიკაციო შერჩევის მიზანია პრეტენდენტთა განსაზღვრა წარდგენილი მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით. საკვალიფიკაციო შერჩევა უნდა დასრულდეს საკვალიფიკაციო ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ათი დღისა. ღირებულებისაგან განსხვავებით, სადაც წინასაკვალიფიკაციო პროცედურის შემოღება მხოლოდ მომავალშია მოსალოდნელი, სამოდელო კანონი, გარკვეული გარემოებების არსებობისას, ითვალისწინებს ამ ფაქტობრივად ორეტაპიანი პროცედურის გამოყენებას, წინასაკვალიფიკაციო პროცედურები, განსხვავებით კვალიფიცირებული პრეტენდენტების სიის შედგენისა თუ შესყიდვის პროცედურებისას პრეტენდენტების დისკვალიფიკაციისაგან, შეიძლება უფრო რთულ მეთოდად იქნეს მიჩნეული. სწორედ ამიტომ წინასაკვალიფიკაციო პროცედურა, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება მხოლოდ რთულ სამშენებლო სამუშაოებთან მიმართებით, ან საერთოდ არ გამოიყენება ბევრი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. მიუხედავად ამისა, მის გამოყენებას შესყიდვების განვითარებად სისტემებში დადებითი მხარეებიც აქვს, სადაც პრეტენდენტები ხშირად ცდილობენ ისეთი სახელმწიფო შეკვეთების მოპოვებას, რომელთა განხორციელების შესაძლებლობაც არ გააჩნიათ.

ამ თვალსაზრისით კანონის მე-10 მუხლი მოითხოვს, რომ პრეტენდენტი იურიდიული პირი აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- მის ქონებაზე არ იყოს დადებული ყადაღა, მის მიმართ არ მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

რაც შეეხება პრეტენდენტი ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებს, ისინი უნდა ადასტურებდნენ, რომ:

- არის ქმედითუნარიანი;
- მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

სტატიკა

– უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

თუ საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, კანონმდებლობის შესაბამისად, მოითხოვს ლიცენზიას, სერტიფიკატს ან სხვა სახის ნებართვას, შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ლიცენზია, სერტიფიკატი ან სხვა სახის ნებართვა.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, თუ საკვალიფიკაციო მონაცემების შესახებ დოკუმენტაცია არაზუსტი ან არასრულია, ან მასში ტექნიკური შეცდომაა დაშვებული, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, პრეტენდენტს მისცეს დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალება. ეს პროცესი უნდა დასრულდეს საკვალიფიკაციო შერჩევის დამთავრებამდე.

8. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის კრიტერიუმები

ვერობუილი კავშირის დირექტივები

საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებების დადება ხდება ერთ ან ორ კრიტერიუმზე დაყრდნობით. ეს კრიტერიუმებია: ყველაზე დაბალი ფასი ან ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი სატენდერო წინადადება. ამ უკანასკნელის გამოვლენისათვის დირექტივებში მოცემულია შესაძლო კრიტერიუმების არასრული სია: ფასი, მიწოდების ან მისი დასრულების თარიღი, ტექნიკური ღირსებები, ხარისხი, ესთეტიკური და ფუნქციური მახასიათებლები, მიმდინარე ხარჯები, რენტაბელობა, გაყიდვის შემდგომი მომსახურება და ტექნიკური დახმარება. ამ შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვების ჩატარების შესახებ განცხადებაში უნდა მიუთითოს ყველა კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც ის აპირებს გამარჯვებულის გამოვლენას, შეძლებისამებრ, მათი მნიშვნელოვნების კლების მიხედვით.

თუ სატენდერო წინადადების ფასი შეუსაბამოდ დაბალი აღმოჩნდება, შემსყიდველ ორგანიზაციას არ შეუძლია მისი ავტომატურად უარყოფა. სამივე დირექტივით გათვალისწინებულია პროცედურა, როდესაც შემსყიდველი წერილობით გამოითხოვს დეტალურ ინფორმაციას სატენდერო წინადადების შემადგენელი ნაწილების შესახებ და ამონებს მას მიღებული ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

სამოდელო კანონის მიხედვით, გამარჯვებულია სატენდერო წინადადება ყველაზე დაბალი ფასით (პრეფერენციული შეღავათის გათვალისწინებით) ან, თუკი ეს გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციით, ყველაზე ხელსაყრელად მიჩნეული სატენდერო წინადადება, რაც დგინდება სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე. მოცემული კრიტერიუმები მაქსიმალურად ობიექტურია და ექვემდებარება რაოდენობრივ შეფასებას და მათ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ შეფასების პროცედურის ფარგლებში ან, სადაც შესაძლებელია, გამოხატული ფულადი ფორმით. ყველაზე ხელსაყრელი სატენდერო წინადადების გამოვლენისათვის შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია გაითვალისწინოს მხოლოდ შემდეგი:

- სატენდერო წინადადების ფასი (პრეფერენციული შეღავათის გათვალისწინებით);
- საქონელთან ან სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების ხარჯები, საქონლის მიწოდების, სამშენებლო

სტატია 30

სამუშაოების დასრულებისა თუ მომსახურების განევის ვადები, საქონლისა და სამუშაოების ფუნქციური მახასიათებლები, ანგარიშსწორებისა და გარანტიების პირობები.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ზოგადად, კანონი ითვალისწინებს სამართლიან და არადისკრიმინაციულ სატენდერო პროცედურებს და ძირითადად შეესაბამება დირექტივებისა და სამოდელო კანონის სტანდარტებს. თუმცა შესყიდვებში უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში აწესებს 15%-იან პრეფერენციულ შეღავათს ადგილობრივი მიმწოდებლის დაცვის მიზნით ასეთი მიდგომას სამოდელო კანონი დასაშვებად მიიჩნევს, მითუმეტეს, რომ ის ხშირად გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში. გამარჯვებული სატენდერო წინადადების გამოვლენისას კანონი მოითხოვს შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებას: სატენდერო წინადადების ფასი (პრეფერენციული შეღავათის გათვალისწინებით), საქონლის მიწოდების, სამუშაოთა შესრულების, მომსახურების განევის ვადები, საქონლის, სამუშაოების, მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრები და ფუნქციური მახასიათებლები, ანგარიშსწორების ფორმები და პირობები, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდგომ მის ექსპლუატაციასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები. კანონი ასევე ადგენს მთლიანად ქვეყნის და ასევე რეგიონის ინტერესებთან სატენდერო წინადადების შესაბამისობის დამატებით კრიტერიუმს. თუმცა არსებობს ამ კრიტერიუმის არასწორად გაგების საშიშროება და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ზოგადი დებულება კრიტერიუმების ძირითადი სისტემის უგულებელყოფის მიზნით. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა, ნება დაერთოს შემსყიდველ ორგანიზაციას, გამოიყენოს სატენდერო წინადადების ღირებულება როგორც ერთადერთი კრიტერიუმი გამარჯვებული პრეტენდენტის გამოსავლენად და შემოღებულ იქნეს შეუსაბამოდ დაბალი ფასის სატენდერო წინადადებების უარყოფის წესი.

9. ტენდერის შედეგების გამჭვირვალობა

ევროპული კავშირის დირექტივები

შესყიდვების პროცედურების ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია გამარჯვებულ პრეტენდენტთან შესყიდვების ხელშეკრულების დადების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება, რაც მიზნად ისახავს დანარჩენი პრეტენდენტების ინფორმირებას მათი წარუმატებლობისა და, შესაძლოა, მისი მიზეზების შესახებ. ტენდერის შედეგების გამჭვირვალობა ხელს უწყობს შემსყიდველ ორგანიზაციებს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიღწევაში და, შესაბამისად, ზრდის პრეტენდენტების ნდობას პროცედურების სამართლიანობისადმი.

დირექტივების მოცემული მიდგომა ორმხრივია: ერთი მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, თუ რა პროცედურა იყო გამოყენებული, ან ვინ ჩაატარა პროექტების კონკურსი, ვალდებული არიან გააგზავნონ შეტყობინება ტენდერის შედეგების შესახებ ევროპული კავშირის ოფიციალური ჟურნალის ოფისში. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს 48 დღისა მოცემული ხელშეკრულების დადების ან მოცემული კონკურსის დასრულების შემდეგ. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება იმ მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებებზეც, რომლებიც მოცემულია მომსახურების დირექტივის დანართში. მეორე მხრივ, გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან, შეატყობინონ დანარჩენ პრეტენდენტებს მათი წინადადების არმიღებისა და მისი მიზეზების შესახებ, შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 15 დღეში; გარდა ამისა, შეტყობინებაში დასახელებული უნდა იყოს გამარჯვებული პრეტენდენტი.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

სამოდელო კანონი ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებას, მაგრამ არ აკონკრეტებს მისი გამოქვეყნების ფორმას – ეს განმარტაციულებელმა სახელმწიფომ უნდა გააკეთოს, შესაძლოა, შესყიდვების მარეგულირებელ დებულებებში. ხსენებული ანგარიში არ უნდა აგვერიოს ხელშეკრულების დადების შესახებ შეტყობინებაში, რომელიც ეგზავნება სატენდერო პროცედურების მონაწილე ყველა პრეტენდენტს. დირექტივების მსგავსად, სამოდელო კანონი ითვალისწინებს შესყიდვების ანგარიშების ხელმისაწვდომობას საზოგადოებისათვის.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

კანონის მე-5 მუხლის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. გამარჯვებულ პრეტენდენტს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით მისი სატენდერო წინადადების მიღების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ანგარიშები განხორციელებული შესყიდვების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის მათი მოთხოვნის შემთხვევაში. ეს ითვალისწინებს გამარჯვებულ პრეტენდენტისა და გადაწყვეტილების გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა არ დაუშვან სატენდერო წინადადებების შინაარსის გამჟღავნება კონკურენტი მიმწოდებლებისა და კონტრაქტორებისათვის. სამოდელო კანონის მიხედვით, მოლაპარაკებებთან დაკავშირებული ინფორმაცია ტექნიკური მხარის, ფასის და სხვა საკითხების შესახებ მიუწვდომელი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის მეორე მხარის თანხმობის გარეშე. ეს მნიშვნელოვანია იმ პროცედურებისათვის, რომლებიც მოლაპარაკების პროცესს მოიცავენ. შესაბამისად, სამოდელო კანონი ითვალისწინებს შესყიდვის პროცედურების ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის შეზღუდვას.

10. გასაჩივრების პროცედურები**ევროპული კავშირის დირექტივები**

ტენდერში მონაწილე ნებისმიერ პრეტენდენტს, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული არაკანონიერი ქმედებების გამო, უფლება აქვს გაასაჩივროს შესყიდვების პროცედურები. ამ უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ევროპულმა კომისიამ შეიმუშავა სასაქონლო და სამუშაოთა შესყიდვების ხელშეკრულებების გასაჩივრებისა და „კომუნალურ სფეროში“ შესყიდვების ხელშეკრულების გასაჩივრების დირექტივები. თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია გააჩნდეს სპეციალიზებული ორგანო, რომელიც შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს გადაწყვეტს.

ამ დირექტივების ძირითადი პრინციპებია:

– შესყიდვების პროცედურის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ნებისმიერი მომწოდებლისათვის, რომელიც დაინტერესებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებით და აშკარა დარღვევების შედეგად უკვე განიცადა ზარალი ან მისი რისკის წინაშე დგას;

– დროებითი ზომების გატარების შესაძლებლობა, აშკარა დარღვევების გამოსწორებისა და ტენდერში მონაწილე პირთა ინტერესებისათვის შემდგომი ზარალის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო ხელშეკრულების დადების პროცედურის შეწყვეტის ან შეწყვეტის უზრუნველყოფის და/ან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული ნებისმიერი უკანონო გადაწყვეტილების შეჩერების ზომების ჩათვლით;

სტატიკა

- არაკანონიერი გადაწყვეტილებების ანულირებისა და ანულირების უზრუნველყოფელი შესაძლებლობების შექმნა, სატენდერო განცხადებაში, სახელშეკრულებო დოკუმენტებსა ან ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში მოცემული ტექნიკური, ეკონომიკური ან ფინანსური მახასიათებლების ამოღების ჩათვლით;
- დაზარალებული მხარეებისათვის ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონი

სამოდელო კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი მიმწოდებელი ან კონტრაქტორი, რომელიც აცხადებს, რომ დაზარადა ან შესაძლოა დაზარალებული იყოს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია გაასაჩივროს მისი ქმედებები, თუმცა გასაჩივრების საგანი არ შეიძლება იყოს: შესყიდვის მეთოდების შერჩევა, გამარჯვებული პრეტენდენტის შერჩევის პროცედურის არჩევანი, შესყიდვის პროცედურების შეზღუდვა სახელმწიფო კუთვნილების მიხედვით, ყველა სატენდერო წინადადების უარყოფის გადაწყვეტილება, შემსყიდველი ორგანიზაციის უარი – უპასუხოს მიმწოდებლის დაინტერესებაზე წინადადებების გამოთხოვნის პროცედურებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

კანონის თანახმად, საჩივარი, პირველ რიგში, უნდა წარედგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის (შესყიდვის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე) ხელმძღვანელს. განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსარჩლეს შეუძლია წარადგინოს სარჩელი სპეციალურ ადმინისტრაციულ ორგანოში. საჩივრის დროული წარდგენა შესყიდვის პროცედურებს 7 დღით აჩერებს; ეს ვადა შეიძლება 30 დღემდე გაგრძელდეს. სასამართლოების კომპეტენციაში შედის 52-ე მუხლის შესაბამისად აღძრული სარჩელის, შემსყიდველი ან მისი ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნის ან ამ ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში მიუღებლობის განხილვა.

ამ მუხლის მიზანია არა სხვა შესაბამისი კანონით გათვალისწინებული სასამართლო განხილვის უფლების შეზღუდვა ან ჩანაცვლება, არამედ სპეციალური სასამართლოსადმი ან სასამართლოებისადმი მიმართვის უფლების დადასტურება.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

კანონის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პრეტენდენტს და მიმწოდებელს პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებები შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეული იქნა წესები და პროცედურები. საჩივრის საფუძველზე ხდება პროცედურების შეწყვეტა 10 დღის ვადით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 30 დღემდე. მათ ასევე აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, ტენდერის პრეტენდენტებს სრული უფლება აქვთ, რომ მათი სარჩელი იყოს განხილული სასამართლო წესით ევროპული დირექტივებისა და სამოდელო კანონის დებულებების შესაბამისად.

III. დასკვნა

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ აყალიბებს სისტემას, რომელიც, ძირითადად, შესაბამისობაშია სამოდელო კანონის რეკომენდაციებთან და ევროპული კავშირის დირექტივების პრინციპებთან. საბოლოო ჯამში, როგორც კანონის გამოყენების გამოცდილებამ

გვიჩვენა, საქართველოს შესყიდვების სისტემის დახვეწა უფრო ადმინისტრაციული პრაქტიკის გაუმჯობესების საგანია, ვიდრე კანონის ფუნდამენტური პრინციპების დახვეწისა. ამ კონტექსტში მიზანშეწონილი იქნებოდა სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასთან, ტრენინგებთან, ინფორმაციის გავრცელებასთან და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესება და ზოგადად კანონის მოთხოვნების შესრულების კულტურის ხელშეწყობა. სამართლებრივი კუთხით, საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- კანონის გამოყენების შეზღუდვა იმ კერძო პირებზე, რომლებიც დიდწილად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და რომლების მიმართაც სახელმწიფოს გარკვეული ზემოქმედების შესაძლებლობა გააჩნია;
- მომსახურების შესყიდვების გაუმჯობესება მოლაპარაკებების კომპონენტების გაძლიერებით;
- მოქმედების თავისუფლების მინიჭება შესყიდვის პროცედურების შერჩევაში;
- სატენდერო მოსაკრებლების ოდენობის შემცირება;
- შეუსაბამოდ დაბალი ფასის წინადადებების უარყოფის პროცედურების შემოღება;
- ღირებულების შემოღება გამარჯვებულის გამოვლნის ერთადერთი კრიტერიუმი;
- ქვეყნის ინტერესებთან დაკავშირებული კრიტერიუმის ამოღება წინადადებების შეფასებისას;
- კონფიდენციალურობის დონის გაზრდა შესყიდვის პროცედურების ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის შეზღუდვით.

სახელმწიფო სექტორი და შესყიდვებში მონაწილე საქმიანი წრეები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, სწავლებასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროგრამების განხორციელებას რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში. სასარგებლო იქნებოდა სახელმწიფო შესყიდვებისა და აუდიტისათვის ეროვნული სწავლების სტრატეგიის განვითარება, სერტიფიკატთან და ხარისხთან დაკავშირებული პროგრამების ხელშეწყობი სწავლების გეგმის ჩამოყალიბება და სახელმწიფო შესყიდვის პროფესიად აღიარება მისი პროფესიათა რეესტრში შეტანით და აკრედიტაციის გზით.

საშუალო ვადაში წესების დახვეწა, ევროპული გაერთიანების კონსოლიდირებული დირექტივის ჩრილში, რომელიც სულ მალე იქნება მიღებული, შეიძლება მივიჩნიოთ შესაბამისობაში საქართველოს ეკონომიკურ საჭიროებებთან. ეს ითვალისწინებს შესყიდვის სფეროს მისადაგებას ელექტრონული კომერციისადმი და საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვებთან დაკავშირებული წესების შემდგომ დახვეწასა და განვრცობას სახელმწიფო და კერძო კომპანიების ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულებაც აჭარბებს ღირებულების დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებს.